



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

16 აგვისტო 2011 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 114**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ ქვეპუნქტის და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> (პრიმა) მუხლის მე-7 პუნქტის, 19<sup>5</sup> მუხლის მე-6 პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ №42 დადგენილების შესაბამისად:

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება ქ. ოზურგეთის შეფჩენკოს ქ. №5 მდებარე 2581.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (საერთო ფართი 1077.63 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 649.5კვ.მ., განაშენიანების ფართი 740.28 კვ.მ, არასაცხოვრებელი ფართი 102.65 კვ.მ, სართულიანობა 2, ოთახების რაოდენობა 27, დამხმარე ფართი 81.25 კვ.მ, საზაფხულო ფართი 77.70 კვ.მ, დერეფანი 43.8 კვ.მ, აივანი 77.70 კვ.მ, სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი №14, ნაკვეთი №692, უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882010789510, მომზადების თარიღი 16/09/2010წ.) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტით იურიდიული პირის არსებობის ვადით, ქონება ღირებულებით 214554.90 (ორასთოთხმეციათასსხუთასორმოცდათოთხმეტი) ათ. ლარი.

**მუხლი 2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

